

საქართველოს კანონი
"ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის
მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის შესახებ"

მუხლი 1.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2004 წლის 29 დეკემბერი, №946) შეტანილ იქნეს ცვლილება:

კანონის 1-ლი მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიგყვები "საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მოსაკრებლების ჩარიცხვით ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოებისა და დაცვის ფინანსური უზრუნველყოფის ხელშეწყობა" და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

" მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპის დამკვიდრებით გარემოს პოტენციური შესაძლებლობებისა და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფა."

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი